# დიადი ოქტომბრის წინა დღეები

ეს იყო 50 წლის წინათ, 1917 წლის 21 ოქტომბერს. ბოლშევიკები მთელი ფრონტით ამზადებდნენ პროლეტარულ რევოლუციას. ვ. ი. ლენინი ვიბორგიდან არალეგალურად, დაბრუნდა პეტროგრადში.

8 (21) ოქტომბერს ბელადი წერს სტატიას „გარეშეს რჩევანი".

დღეს „კომუნისტის" მკითხველებს ვთავაზობთ ამ სტატიას. იგი იბეჭდება თხზულებათა 26-ე ტომის მიხედვით (მე-4 გამოცემა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 248 (13940)
შაბათი, 21 ოქტომბერი 1967 წ.
გამოცემის 48-ე წელი.



ვ. ლენინი

# გარეშეს რჩევანი

ამ სტრიქონებს ვწერ 8 ოქტომბერს და ვეჭვობ, რომ ისინი უკვე 9-ს ხელთ ექნეთ პიტერელ ამხანაგებს. შესაძლებელია, მათ დააგვიანდეთ, რადგან ჩრდილოეთის საბჭოების ყრილობა 10 ოქტომბრისთვისაა დანიშნული. მაგრამ მე მაინც შევეცდები ჩემი „გარეშეს რჩევებით" გამოვიდე იმ შემთხვევისათვის, რომ პიტერისა და მთელი მისი მიდამოების მუშათა და ჯარისკაცთა მოსალოდნელი გამოსვლა მოხდება მალე, მაგრამ ჯერ კიდევ არ მომხდარა.

მთელი ძალაუფლება რომ საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს, ეს ცხადია. ასევე უდავო უნდა იყოს ყოველი ბოლშევიკისათვის, რომ რევოლუციურ-პროლეტარული (ანუ ბოლშევიკური — ეს ახლა ერთი და იგივეა) ხელისუფლებისათვის უზრუნველყოფილია უდიდესი თანაგრძნობა და თავდადებული მხარისდაჭერა საერთოდ ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მხრივ მთელ მსოფლიოში, კერძოდ მეომარ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთის გლეხობის მხრივ. ამ, მეტისმეტად საყოველთაოდ ცნობილ და დიდი ხანია დამტკიცებულ, ჭეშმარიტებაზე შეჩერება არა ღირს.

შეჩერება საჭიროა იმაზე, რაც არა მგონია ყველა ამხანაგისთვის სავსებით ნათელი იყოს, სახელდობრ: რომ ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში ახლა პრაქტიკულად შეიარაღებულ აჯანყებას ნიშნავს. თითქოს, ეს ცხადია, მაგრამ ყველა როდი ჩაფიქრებია და უფიქრდება ამას. ახლა შეიარაღებულ აჯანყებაზე უარისთქმა — ეს იქნებოდა ბოლშევიზმის მთავარ ლოზუნგზე (მთელი ძალაუფლება საბჭოებს) და საერთოდ მთელ რევოლუციურ-პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე უარისთქმა.

მაგრამ შეიარაღებული აჯანყება პოლიტიკური ბრძოლის განსაკუთრებული სახეა, დაქვემდებარებული განსაკუთრებული კანონებისადმი, რომელთაც ყურადღებით უნდა ჩავუფიქრდეთ. ეს ჭეშმარიტება შესანიშნავი სიცხადით გამოხატა კარლ მარქსმა, როცა დასწერა, რომ შეიარაღებული „აჯანყება, ისევე როგორც ომი, ხელოვნებააო".

ამ ხელოვნების მთავარი წესებიდან მარქსმა წამოაყენა:

1) არასოდეს არ ეთამაშოთ აჯანყებას, ხოლო, თუ დაიწყებთ, მტკიცედ იცოდეთ, რომ ბოლომდე უნდა მიხვიდეთ.

2) აუცილებელია დააგროვოთ ძალთა დიდი უპირატესობა გადამწყვეტ ადგილას, გადამწყვეტ მომენტში, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი, რომელსაც უკეთესი მომზადება და ორგანიზაცია აქვს, გაანადგურებს აჯანყებულთ.

3) რაკი აჯანყება დაწყებულია, უნდა იმოქმედოთ უდიდესი გაბედულებით და უეჭველად, უსათუოდ გადახვიდეთ შეტევაზე. „თავდაცვა სიკვდილია შეიარაღებული აჯანყებისა".

4) უნდა ეცადოთ მოულოდნელად დაესხათ თავს მტერს, შეურჩიოთ მომენტი, სანამ მისი ჯარები დაქსაქსულია.

5) უნდა ცდილობდეთ ყოველდღე მიაღწიოთ თუნდაც მცირე წარმატებებს (შეიძლება ითქვას: ყოველ საათს, თუ საქმე ერთ ქალაქს ეხება) და შეინარჩუნოთ, რადაც უნდა დაჯდეს, „მორალური უპირატესობა".

მარქსმა შეაჯამა ყველა რევოლუციის გაკვეთილები შეიარაღებული აჯანყების შესახებ „ისტორიაში რევოლუციური ტაქტიკის უდიდესი ოსტატის — დანტონის სიტყვებით: გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა".

რუსეთისა და 1917 წლის ოქტომბრისადმი შეფარდებით ეს ნიშნავს ერთდროისი, რაც შეიძლება უფრო უეცარი და სწრაფი შეტევა პიტერზე, უსათუოდ გარედანაც და შიგნიდანაც, მუშათა უბნებიდანაც, ფინეთიდანაც, რეველიდანაც და კრონშტადტიდანაც, მთელი ფლოტის შეტევა, დაგროვება ძალთა გიგანტური სიჭარბისა ჩვენი „ბურჟუაზიული გვარდიის" (იუნკრებისა), ჩვენი „ვანდეის ჯარების" (კაზაკების ნაწილი) და სხვათა 15-20 ათასი კაცის (და შეიძლება მეტის) მიმართ.

გაწესრიგდეს ჩვენი სამი მთავარი ძალა: ფლოტი, მუშები და ჯარის ნაწილები ისე, რომ აუცილებლად დაიკავონ და ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით შეინარჩუნონ: ა) ტელეფონი, ბ) ტელეგრაფი, გ) რკინიგზის სადგურები, დ) ხიდები პირველ რიგში.

გამოიყოს ყველაზე გაბედული ელემენტები (ჩვენი „დამკვრელები" და მუშათა ახალგაზრდობა, აგრეთვე საუკეთესო მატროსები) პატარ-პატარა რაზმებად მათ მიერ ყველა უმნიშვნელოვანესი პუნქტის დასაკავებლად და მათი ყველგან, ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად, მაგალითად:

პიტერის გარემოცვა და მოწყვეტა, ფლოტის, მუშებისა და ჯარის კომბინირებული იერიშით მისი აღება, — ასეთია ამოცანა, რომელიც ხელოვნებასა და სამმაგ გაბედულებას მოითხოვს.

შედგეს თოფებითა და ყუმბარებით შეიარაღებული საუკეთესო მუშების რაზმები მტრის „ცენტრების" (იუნკერთა სკოლის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და სხვათა) საიერიშოდ და გარემოსაცავად ლოზუნგით: გავწყდეთ ყველანი, მტერი კი არ გავუშვათ.

იმედი ვიქონიოთ, რომ თუ ვინიცობაა გამოსვლა გადაწყდება, ხელმძღვანელები წარმატებით გამოიყენებენ დანტონისა და მარქსის დიად ანდერძებს.

როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო რევოლუციის წარმატება ორი-სამი დღის ბრძოლაზეა დამოკიდებული.

დაწერილია 1917 წ. 8 (21) ოქტომბერს.

# საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა III ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მესამე ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით — სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკურ საზოგადოებრიობას, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მუშა ნოვატორებს — ტექნიკური პროგრესისა და წარმოების სრულყოფის აქტიურ მებრძოლებს.

რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 80 ათასზე მეტ წევრს, აქტიურად იბრძვიან მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების, წარმოების სრულყოფის პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის, საზოგადოების წევრებს უნერგავენ მაღალ შეგნებულობას, შრომისა და მინდობილი საქმისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას.

საქართველოს სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის მთელი ნაყოფიერი საქმიანობა მკაფიოდ მოწმობს სამშობლოსადმი, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი კეთილშობილურ სამსახურს.

საქართველოს მეცნიერებს, ინჟინერ-ტექნიკურ ინტელიგენციას, წარმოების ნოვატორებს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებაში. რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობა ღირსეულად ხვდება საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან იუბილეს — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. შემუშავებულ რეკომენდაციათა და წინადადებათა განხორციელების შედეგად საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წევრებმა სახალხო მეურნეობას დაუზოგეს 50 მილიონ მანეთზე მეტი.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს დიდი გამოცდილება აქვთ ტექნიკური პროგრესისა და წარმოების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, ახალი ტექნიკის გეგმის შესრულებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის, სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ორგანიზაციაში, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდისა და დანერგვის საქმეში, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშათა მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში.

ღონისძიებებმა, რომლებსაც კომუნისტური პარტია ახორციელებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის ახალი ასპარეზი შექმნეს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ორგანიზაციების კიდევ უფრო ნაყოფიერი საქმიანობისათვის. ისინი უკეთ და უფრო სრულად იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს იმისათვის ბრძოლაში, რომ დააჩქარონ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რომლის საშუალებითაც წარმატებით წყდება შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლებენ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისათვის. ეჭვი არ არის, რომ ფართოდ აღვითარებენ რა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებით მეგობრობას, მეცნიერები, სპეციალისტები, წარმოების ნოვატორი მუშები წარმატებით შეასრულებენ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო | საქართველოს პროფსაბჭო

## შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა კოლექტივებმა, რომლებიც მონაწილეობენ კურორტ ბიჭვინთის მშენებლობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის კურორტის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროს 1967 წლის აგვისტოში გეგმა შეასრულეს 122,7 პროცენტით.

შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა „ბიჭვინთმშენის" ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც 116 პროცენტით გაანაღდა გეგმა, ამასთან ხარისხოვნად შეასრულა სამუშაოები. № 2 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. (საქინფორმი).

# საიუბილეო ვახტზეა საბჭოთა საქართველო

## რთველი ჩვენს ზვრებში

ახმეტის რაიონის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვეს — 14 ოქტომბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა, — აცნობეს „კომუნისტის" რედაქციას პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბატიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ თ. ბაინდურაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. დოინჯაშვილმა.

14 ოქტომბრისათვის ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 9.000 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.855 ტონისა.

საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გონაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ხუცურაულმა „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მევენახეებმა გეგმაც და ვალდებულებაც სასახელოდ გაანაღდეს.

14 ოქტომბრისათვის მოიკრიფა და ქარხნებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 7.450 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.450 ტონისა.

საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კავთიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ქ. სვინტრაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ გუშინ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს: მცხეთელებმა საიუბილეო წელს ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჭირვეული ამინდი დაეძლიათ და მოეყვანათ ყურძნის უხვი მოსავალი.

18 ოქტომბრისათვის მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 8.781 ტონა ხარისხოვანი ყურძენი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 8.760 ტონისა.

## ახალსამგორელთა ნობათი

გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისათვის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია. მეურნეობის კოლექტივმა ვადაზე ადრე შეასრულა ბოსტნეულის, რძისა და მარცვლეულის წარმოების გეგმები.

ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.200 ცენტნერისა წარმოებულია 12.235 ცენტნერი ბოსტნეული, ნაცვლად 4.732 ცენტნერისა — 4.886 ცენტნერი რძე, ნაცვლად 2.904 ცენტნერისა — 3.916 ცენტნერი მარცვლეული. ასევე დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები.

მეურნეობის კოლექტივმა ახალი ვალდებულება იკისრა. წლის ბოლომდე კიდევ ჩააბარებენ 3.000 ცენტნერ ბოსტნეულსა და 600 ცენტნერ რძეს, — ამის შესახებ აცნობეს რედაქციას მეურნეობის დირექტორმა შ. სიბაშვილმა, პარტორგანიზაციის მდივანმა თ. ხერხეულიძე?, და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. აფციაურმა.

თავდადებული შრომის ატმოსფერო სუფევს ამ წინასადღესასწაულო დღეებში თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მეორე უბნის მშენებლობაზე. მშენებლები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ იმისათვის, რომ გაანაღდონ წინასაოქტომბრო ვალდებულება. საქმითაც ჩანს, რომ ვალდებულება პირნათლად შესრულდება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულის დღეს პირველი რიგის მეორე უბნის სამი ახალი სადგური საექსპლოატაციოდ გადაეცემა.

წარმატებით შრომობს საიუბილეო შრომით ვახტზე კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გრუზო ობოლაძე ხელმძღვანელობს. მეგობრული კოლექტივი ცვლის დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. სურათზე: კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან) ი. პეტაშვილი, გ. გოგრიჭიანი, ბრიგადირი გ. ობოლაძე, ვ. შარაშენიძე, ე. ლომიძე და შ. შოტნიაშვილი.

ფოტო ზ. ბიჭიკაევისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა)



## საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

20 ოქტომბერს მოსკოვში, შრომის სასახლეში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს XIV პლენუმი. მოხსენება „პროფკავშირთა ამოცანები საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლისა და ხუთწლედის შემდგომი წლების გეგმების შესრულების ღონისძიებათა განხორციელებაში" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა. (საქინფორმი).

## დიდი ნდა-ბაასი პლასტმასებზე

ერთი და იგივე ქიმიური შემადგენლობის პლასტმასებს შეიძლება მივცეთ სულ სხვადასხვაგვარი თვისება: ფოლადის სიმტკიცე და გამძლეობა ან რეზინის ელასტიკურობა. პოლიმერების ასეთი გარდაქმნა ისწავლეს პოლიმერების დარგის ქართველმა სპეციალისტებმა. მათ შეიმუშავეს და გამოიყენეს სპეციფიკურ აგრესიულ გარემოში პლასტმასების განსაკუთრებული თერმოდამუშავების ორიგინალური წესი. აღმოჩნდა, რომ პოლიმერულმა ნივთიერებამ ასეთი გარემოს ზეგავლენის შედეგად შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს თავისი სტრუქტურა. ამ მეთოდიკის საშუალებით უკვე შესაძლებელი გახდა ასობით კილოგრამით გაედიდებინათ ტექნიკაში გამოუყენებელი პლასტმასის ერთ-ერთი სახეობის წინააღმდეგობა გაგლეჯისადმი. ამ მუშაობის შედეგებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანებისა და პოლიმერულ მასალათა მექანიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა გ. ზუკაკოვმა პოლიმერების საინჟინრო მექანიკისა და მრეწველობაში პლასტმასების გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ რესპუბლიკურ თათბირზე, რომელმაც მუშაობა დაამთავრა 20 ოქტომბერს თბილისში.

თათბირი მოაწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანებისა და პოლიმერულ მასალათა მექანიკის ინსტიტუტმა, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტმა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ერევნის, ნოვოსიბირსკის, თბილისისა და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქის მთელი რიგი საკვლევი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანებისა და პოლიმერულ მასალათა მექანიკის ინსტიტუტში, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა რ. დვალმა, — წარმოებს მნიშვნელოვანი მუშაობა. კონსტრუქციულ პოლიმერულ მასალათა ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა შესასწავლად ეწყობა პოლიმერული დეტალებიანი მანქანების, პლასტმასების სიმტკიცის კვლევა ჩვეულებრივი და მაღალი ტემპერატურების პირობებში და სხვ. (საქინფორმი).

## თათბირობენ გამომცემლობათა მუშაკები

მოსკოვში დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტთა თავმჯდომარეების თათბირი შემოქმედებითი კავშირების, აგრეთვე დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად.

თათბირის მონაწილენი განიხილავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის ლიტერატურის გამოცემის გეგმას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის 1968 წლის სახელმწიფო საწარმოო გეგმას და სხვა საკითხებს. (საქინფორმის კორ.).

## მამაცთა ეკიპაჟი მოსკოვში ჩამოვიდა

მოსკოვში დაბრუნდა თვითმფრინავ ილ-18-ის ქალთა ეკიპაჟი, რომელმაც ამას წინათ დაამყარა მსოფლიო რეკორდი. ვნუკოვოს აეროპორტში მამაც მფრინავებს შეხვდნენ სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს წარმომადგენლები, ცნობილი მფრინავები, ამხანაგები.

თვითმფრინავის კიბესთან ეკიპაჟს გულითადად მიესალმა სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ე. თ. ლოგინოვი. ილ-18-ის მეთაურმა სოციალისტური შრომის გმირმა ლ. ულანოვამ უპატაკა:

— დავალება შესრულებულია. დავამყარეთ სიშორის ახალი მსოფლიო რეკორდი. თვითმფრინავ ილ-18-ით ქალთა ეკიპაჟმა 12 საათსა და 12 წუთში დედამიწაზე დაუშვებლად გაიარა 7.680 კილომეტრი სიმფეროპოლიდან იუჟნო-სახალინსკამდე.

ამ ძნელი გადაფრენის მომზადებისა და შესრულების დროს, თქვა ე. თ. ლოგინოვმა, ეკიპაჟმა გადაწყვიტა ბევრი რთული საინჟინრო, საფრენი, მეტეოროლოგიური და სხვა ამოცანა. მფრინავებმა ჩინებულად გაართვეს თავი ამ ამოცანებს.

ლ. ულანოვამ დამსწრეთ უამბო, თუ როგორ მიმდინარეობდა ფრენა. ეკიპაჟის ყველა წევრი ზუსტად, შეწყობილად მუშაობდა, აღნიშნა მან. (საქინფორმი).

ჩვენი დიდი სამშობლო




# საერთაშორისო ცხოვრება

# ოქტომბერი და ჩვენი პლანეტა

### ბულგარეთი

„ოქტომბრის რევოლუცია და ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები“ — ამ თემას ეძღვნება ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც სოფიაში გაიხსნა. სესიის მონაწილეთა განსახილველად წარმოდგენილია 13 მოხსენება სხვადასხვა ფილოსოფიურ პრობლემაზე. დიდ ინტერესს იწვევს თვალსაჩინო ბულგარელი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ს. განოვსკის მოხსენება „დიდი ოქტომბერი და კომუნიზმის მშენებლობა“.

### ვიეტნამი

ჰანოიში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელიც მოაწყეს ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა და ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ. საზეიმო კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა ნგუენ ქხან ტოანმა. მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის გავლენა ვიეტნამის აგვისტოს რევოლუციაზე. აგრეთვე ილაპარაკა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის წარმატებებზე.

### პოლონეთი

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის იურიდიულმა ინსტიტუტმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის გამოუშვა სპეციალური ნომერი ჟურნალისა „იურიდიული გამოკვლევანი“. ჟურნალი მთლიანად ეძღვნება სამართლისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს.

### ჩეხოსლოვაკია

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც გაიხსნა პრაღის საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის ინსტიტუტში, მონაწილეობენ რესპუბლიკის 40 სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს 50 წლის მანძილზე მიეძღვნა ინსტიტუტის სოციალისტური ქვეყნების განყოფილების გამგის ვ. კოტიკის მოხსენება. მოხსენებაში ხაზგასმულია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო საბჭოთა საგარეო პოლიტიკას საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მომენტიდან მეორე მსოფლიო ომამდე და ომისშემდგომ პერიოდში.

### უნგრეთი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის წინა დღეებში უნგრეთის ეკრანებზე კვლავ უჩვენებენ საბჭოთა კინოხელოვნების 100-ზე მეტ თვალსაჩინო ნაწარმოებს. ბუდაპეშტში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობისა და ზოგიერთი ფილმის შემოქმედთა შეხვედრები. კერძოდ, ბუდაპეშტელები შეხვდნენ საბჭოთა კინოხელოვნების შედევრის — „ჩაპაევის“ მთავარი როლების შემსრულებლებს — ა. მიასნიკოვასა და ბ. ბაბოჩკინს.

ამ დღეებში ბუდაპეშტის 93 კინოთეატრში უჩვენებენ 36 საბჭოთა ფილმს, მათ შორის გასული წლების ფართოდ ცნობილ ფილმებს, როგორიცაა „ივანე მრისხანე“, „ცამეტი“, „მიფრინავენ წეროები“ და სხვ.

### გდრ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალი კინოფილმი „კრივოი როგის დროშა“. რეჟისორმა კ. მეტციგმა და სცენარისტმა გ. პედერცანიმ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ მსახიობთა კოლექტივთან ერთად ამ ფილმში წარმოსახეს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა პროლეტარული სოლიდარობის ერთ-ერთი სახელოვანი ფურცელი.

ფილმი მოგვითხრობს მანსფელდის კომბინატის მაღაროელთა გმირობაზე, რომლებიც ფაშისტური ტერორის წლებში ინახავდნენ კრივოი როგის მუშების მიერ ნაჩუქარ წითელ დროშას. ფაშისტებმა, რომლებიც ცდილობდნენ მოენახათ ეს დროშა, ვერ გატეხეს გერმანელ მუშათა სიმტკიცე და გმირობა. 1945 წელს, როცა გერმანიის მიწა-წყალზე შევიდა საბჭოთა არმია, მანსფელდის მაღაროელები კრივოიროგელთა წითელი დროშით შეხვდნენ საბჭოთა მეომრებს. ახლა ამ დროშას ინახავენ როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობის, ურღვევი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის რელიკვიას.

### რუმინეთი

მდიდარია იმ კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა პროგრამა, რომლებიც ეწყობა ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად სოციალისტურ რუმინეთში. ბუქარესტის ერთ-ერთ უდიდეს წიგნის მაღაზიაში „კნიგარა უნივერსალეში“ გაიხსნა საბჭოთა წიგნის დეკადა და გამოფენა. სტენდებზე წარმოდგენილია საბჭოთა გამომცემლობების პროდუქცია, აგრეთვე რუმინეთში გამოცემული საბჭოთა წიგნები. რუმინეთის გამომცემლობათა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა დ. ტრანკამ გახსნა დეკადა და ხაზგასმით აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა მთელი კაცობრიობისათვის. რუმინეთის გამომცემლობანი, თქვა მან, ოქტომბრის იუბილესათვის გამოუშვებენ 40-მდე წიგნს, მათ შორის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, ოქტომბრის რევოლუციის მოკლე ისტორიას, დიდ ნაშრომს „რუმინეთი და ოქტომბრის რევოლუცია“.

### მონღოლეთი

ულან-ბატორში გაიმართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. კონფერენციის მუშაობის ცენტრში იყო ორი მოხსენება: თეატრალური კრიტიკოსის ხ. ნაცაგდორჯისა — „ოქტომბრის რევოლუცია და სოციალისტური რეალიზმი“ და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ლ. ვაჩანისა — „სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას განვითარება მონღოლეთში“.

მომხსენებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების ცხოვრებაში.

### აშშ

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უძველეს სასწავლებელში — ბოსტონის კოლეჯში გაიხსნა გამოფენა „სახალხო განათლება სსრ კავშირში“. გამოფენა ფართო წარმოდგენას ქმნის სკოლამდელი, საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი განათლების სისტემაზე საბჭოთა კავშირში. გამოფენის გახსნას დაესწრნენ ქალაქის განათლების თვალსაჩინო მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გამოფენის მუშაობასთან დაკავშირებით საბჭოთა სპეციალისტები მართავენ ლექციებსა და საუბრებს სსრ კავშირის სახალხო განათლების სისტემის შესახებ. გამოფენის ორგანიზატორებმა მიიღეს სკოლებისა და კოლეჯების ბევრი განაცხადი გამოფენის კოლექტიურად დათვალიერებისათვის. (საკდესი).

### ბირმა

ოქტომბრის 50 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით ბირმა-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ რანგუნში მოაწყო დედაქალაქის საზოგადოებრიობის საკვირაო კრებების ერთთვიური. საზოგადოების შენობაში გამოფენილია სტენდები, რომლებიც დამთვალიერებლებს უამბობენ ოქტომბრის რევოლუციაზე და მის ბელადზე ვ. ი. ლენინზე. აქ იკრიბებიან მუშები და მოსამსახურეები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სტუდენტები. საზოგადოების წარმომადგენლები აწყობენ საუბრებს ოქტომბრის რევოლუციაზე, საბჭოთა ქვეყანაზე და საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებაზე. (საკდესი).

### კენია

კენიის დედაქალაქ ნაირობის მუდმივმოქმედ სადემონსტრაციო დარბაზში გაიხსნა ფოტოექსპოზიცია თემაზე: „სსრ კავშირის მეცნიერება და ტექნიკა 50 წლის მანძილზე“. გამოფენის მასალები ასახავენ იმ გრანდიოზულ წარმატებებს, რომელიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და მრეწველობის ტექნიკური აღჭურვის საქმეში. ამავე დროს გაიხსნა სრულიად საკავშირო გაერთიანება „ენერგომანქანაექსპორტის“ მოწყობილობის კატალოგთა გამოფენა. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შორის.

### მნიშვნელოვანი მიღწევა

ლონდონი, (საკდესი). ბრიტანეთის საპლანეტათაშორისო მიმოსვლის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა კენეტ გეტლენდმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „მართლაც, რომ შესანიშნავი მიღწევაა“ ის, რომ საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ვენერა-4“-მა წარმატებით გადმოსცა სამეცნიერო მასალები პლანეტა ვენერადან.

„მოუთმენლად მოველით ცნობებს, თუ რა პირობებია პლანეტა ვენერაზე“.

### ანგარიში მატულობს

ჰანოი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა 17 და 18 ოქტომბერს ჰაბავის პროვინციაში დაახლოებით ჩამოაგდეს ორი ამერიკული თვითმფრინავი.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 1967 წლის 18 ოქტომბრისათვის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სულ ჩამოგდებულია 2.411 ამერიკული თვითმფრინავი.

### განგაში პენტაგონში

ვაშინგტონი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). პენტაგონელი სტრატეგები ახლა თავს იმტვრევენ იმისათვის, თუ როგორ გამოიყენონ უფრო ეფექტიანად ამერიკის ჯარები... პენტაგონის კედლებთან. საქმე ის არის, რომ ვიეტნამის მშვიდობისათვის მებრძოლები ამ კვირის დამლევს აპირებენ პენტაგონის შენობის წინ მოაწყონ მასობრივი ომის საწინააღმდეგო მიტინგი.

ამასთან დაკავშირებით გენერლები ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში გაგზავნიან ბრაგის ფორტის (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის დაახლოებით 3,5 ათას ჯარისკაცს. გარდა ამისა, თვით თავდაცვის სამინისტროს შენობაში აპირებენ განალაგონ სამხედრო პოლიციის ბატალიონი.

### ვ. როშეს გამოსვლა

პარიზი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). „კომუნისტური მოძრაობის ერთობა ახლა მით უფრო საჭიროა, რომ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკები ყველა კონტინენტზე, და კერძოდ დანაშაულებრივი ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ძალიან სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას“, — განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 17-18 ოქტომბერს გაიმართა პარიზის გარეუბან ივრიში.

თავის გამოსვლაში ვ. როშე დაწვრილებით შეეხო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კონტაქტებს სხვა მოძმე პარტიებთან და ილაპარაკა კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირის მომზადებისა და მოწვევის პრობლემებზე.

არც ერთ პარტიას, თქვა მან, არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს, როგორც ამას ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები სჩადიან, იმაზე, რომ მთელ კომუნისტურ მოძრაობას, მთელ ანტიიმპერიალისტურ ძალებს თავს მოახვიონ ავანტიურისტული და ანტისაბჭოთა ხაზი. ჩვენ უარვყოფთ ასეთ პრეტენზიებს, რადგან ყველა პარტია დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანია.

# განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ლონდონი. (საკდესი). ჯოდრელ-ბენკის რადიოასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორმა ბერნარდ ლოველმა დღეს აქ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც გააშუქა მოსკოვიდან მიღებული ცნობები ავტომატური სადგურის „ვენერა-4“-ის გაფრენის შედეგების შესახებ.

ლოველმა თქვა: „ამ შედეგებს სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა განსაცვიფრებელს“. როგორც მან აღნიშნა, „ვენერა-4“-დან მიღებულმა ინფორმაციამ დაადასტურა ის ვარაუდი, რომ ვენერას არა აქვს არც მაგნიტური ველი, არც რადიაციის სარტყელი და, რომ ატმოსფერო იქ თითქმის მთლიანად ნახშირორჟანგისაგან შედგება.

„საერთო შთაბეჭდილება ასეთია, — განაცხადა ლოველმა, — რომ რუსებმა მიაღწიეს 100-პროცენტიან წარმატებას იმ ამოცანის შესრულებაში, რომელიც დაისახეს“.

იმ კითხვის პასუხად, მოწმობს თუ არა მიღებული ინფორმაცია, რომ ვენერაზე შეიძლება იყოს სიცოცხლე, ლოველმა თქვა, ეს შედეგები ადასტურებენ, რომ იქ „ნაკლებად მოსალოდნელია ან სრულიად შეუძლებელია“ სიცოცხლე.

მეორე კითხვის პასუხად ლოველმა აღნიშნა, რომ დღემდე ვენერაზე დაკვირვება ხდებოდა მხოლოდ ტელესკოპის ან სხვა საშუალებათა დახმარებით. „ახლა კი პირველად ადამიანის ხელსაწყოები მიტანილია თვით პლანეტაზე. ეს ისტორიული მიღწევაა“.

როცა ლოველს ჰკითხეს, მიაჩნია თუ არა, რომ ეს საბჭოთა მიღწევა უფრო მეტია, ვიდრე წინათ ვარაუდობდაო, თქვა: „მე ვფიქრობდი, მარტო ტემპერატურა რომ გაზომონ, ეს უკვე კოლოსალური მიღწევა იქნება-მეთქი. მაგრამ მათ მიიღეს კონკრეტული მონაცემები ყველაფერზე. ეს კი დიდებულია“.

# მსოფლიო აღტაცებულია

ჟენევა. 20 ოქტომბერი (საკდესის კორ.). „ვენერა-4“ მეტად ფართო პერსპექტივებს უსახავს არა მარტო მეცნიერულ კვლევას, არამედ პრაქტიკულ საქმიანობასაც, და კერძოდ, რადიოკავშირის ორგანიზაციასა და შეუფერხებელი რადიოკავშირის განხორციელებას კოსმოსური კვლევის დროს, ნათქვამია ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირის გენერალური სამდივნოს განცხადებაში, რომელიც საკდესის კორესპონდენტს გადაეცა.

კოპენჰაგენი, 20 ოქტომბერი (საკდესი). სარედაქციო სტატიაში „რუსების ახალი ტრიუმფი კოსმოსში“ „კრისტელიგტ დაგბლადი“ წერს: „პლანეტა ვენერაზე სამეცნიერო ლაბორატორიის დაშვებით რუსებმა უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კოსმოსური სივრცის კვლევაში და დიდად გაუსწრეს ამერიკელებს ამ კვლევაში“.

„პოლიტიკენი“ ხაზს უსვამს, რომ „ვენერაზე სადგურის განსაკუთრებით რბილად დაჯდომით საბჭოთა კავშირმა ახალი ერა დაიწყო კოსმოსის კვლევის ისტორიაში“.

დანიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ფოტოსურათები საბჭოთა ავტომატური სადგურის „ვენერა-4“-ისა და ვიმპელისა, რომელზეც გამოსახულია სსრ კავშირის გერბი და რომელიც მიტანილია პლანეტა ვენერაზე.

პარიზი, 19 ოქტომბერი (საკდესი). საბჭოთა ავტომატური რაკეტული სადგურის „ვენერა-4“-ის დაშვება ვენერაზე „უდიდესი მიღწევაა თავისი ტექნიკური და მეცნიერული შედეგებით“, — წერს სარედაქციო სტატიაში ფრანგული გაზეთი „მონდი“. ეს მიღწევა „მეტად დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კოსმოსის დაპყრობაში“.

„შეერთებული შტატები, — აღნიშნავს გაზეთი, — ჩამორჩებიან საბჭოთა სადგურისა და მათი ხომალდის „მარინერ-5“-ის შეჯიბრებაში“.

### „მარინერმა“ ვენერას ჩაუფრინა

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გათვალისწინებული იყო, ამერიკის კოსმოსურმა ხომალდმა „მარინერ-5“-მა გუშინ პლანეტა ვენერას ჩაუფრინა 2.480 მილზე. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იმოწმებს რეაქტიული ძრავების ლაბორატორიის წარმომადგენლის სიტყვებს და პასადენიდან (კალიფორნიის შტატი) გვატყობინებს, რომ ხომალდზე დადგმული მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

მას შემდეგ, რაც „მარინერ-5“ შევიდა ვენერას „ჩრდილში“, დედამიწის სადგურების კავშირი კოსმოსურ ხომალდთან შეწყდა.

### შემთხვევა ჰაერში

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). იშვიათი შემთხვევა მოუხდა ამერიკის საჰაერო ლაინერს „დს-6“-ს მორიგი რეისის დროს. ამ დღეებში ლაინერი მიჩიგანის შტატში დაახლოებით 3.000 მეტრ სიმაღლეზე შეეჯახა... ბატების გუნდს. ამის შედეგად თვითმფრინავის ფრთები და კაბინის ფარანი რამდენიმე ადგილას დაზიანდა, ერთ-ერთი ძრავა კი მწყობრიდან გამოვიდა საწვავის მიწოდების სისტემის გაფუჭების გამო.

მიუხედავად ამისა თვითმფრინავი მშვიდობიანად დაჯდა აეროპორტში.

### მუდმივი წარმომადგენლის წერილი

ნიუ-იორკი. (საკდესი). იორდანიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ელ-ფარამ წერილში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი კატეგორიულად უარყო მტკიცება ისრაელისა, რომელიც ცდილობს ისრაელის მიერ ოკუპირებულ იორდანიის ტერიტორიაზე მდგომარეობის გამწვავებისათვის პასუხისმგებლობა დააკისროს იორდანიას.

იორდანიის მუდმივი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ისრაელი კვლავ არღვევს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. ისრაელის საოკუპაციო ჯარები საშინლად აწამებენ იორდანელ მოქალაქეებს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს.

# საბჭოთა გამოფენა პარიზში

პარიზი. 20 ოქტომბერი, (საკდესი). საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების გამოფენა, რომელიც პარიზში გაიხსნება, გვსურს მივუძღვნათ ფრანგ ხალხთან ჩვენს მეგობრობას, განაცხადა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ პარიზში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

ბევრმა ჟურნალისტმა მოიყარა თავი დიდი სასახლის დარბაზში სენის ნაპირზე, სადაც გაიხსნება გამოფენა „რუსული ხელოვნება სკვითებიდან ჩვენს დღეებამდე“. ე. ა. ფურცევამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს ჯერ კიდევ არასოდეს არ გაუგზავნია საზღვარგარეთ ამდენი საგანძური თავისი მუზეუმებიდან. ეს გამოფენა შემთხვევით როდი იხსნება პარიზში, ხაზი გაუსვა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა. საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის წარმატებით ვითარდება კულტურული ურთიერთობა. პარიზსა და მოსკოვში ბოლო წლებში იყო ორივე ქვეყნის ბევრი საუკეთესო კოლექტივი, შემსრულებელი და სოლისტი, იმედი გვაქვს, აღნიშნა ე. ა. ფურცევამ, რომ ეს გამოფენა ხელს შეუწყობს საფრანგეთისა და სსრ კავშირის შემდგომ დაახლოებას.

# ირანის ახალი მთავრობა

თეირანი, (საკდესი). ამირ აბას ჰოვეიდამ, რომელიც ირანის შაჰმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა შემდგომი ოთხი წლის ვადით, დღეს შაჰს წარუდგინა ირანის მთავრობის შემადგენლობა. ძირითადად კაბინეტის შემადგენლობა არ შეცვლილა. დანიშნეს მხოლოდ სოფლის მეურნეობის, სამეცნიერო კვლევისა და უმაღლესი განათლების, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და კვების მრეწველობის, მიწის რეფორმის, ბუნებრივი რესურსების ახალი მინისტრები.

თეირანი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ირანის პრემიერ-მინისტრმა ამირ აბას ჰოვეიდამ პარლამენტში გააკეთა ახალი მთავრობის საპროგრამო განცხადება, რომელიც თეირანის რადიოთი გადაიცა.

ირანის მთავრობა, განაცხადა ჰოვეიდამ, ხელმძღვანელობს რა დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის პრინციპებით, ისევე როგორც წინათ საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში განახორციელებს მშვიდობიან თანაარსებობის პოლიტიკას ყველა მეგობარ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან, დაიცავს გაერთიანებული ერების წესდების პრინციპებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას, თქვა პრემიერ-მინისტრმა, დავუთმობთ ირანის კეთილმოწყობის მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას, ირანის ეკონომიკის საფუძვლის—მძიმე ინდუსტრიის განვითარებას. საგარეო ვაჭრობის დარგში ირანი უპირატესად ურთიერთობას განავითარებს იმ ქვეყნებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო შეღავათებს ირანის საქონლის გასაღებისათვის, მათ შორის ირანის მრეწველობის პროდუქციის გასაღებისათვის.

### ციკლონის შედეგები ინდოეთში

დელი. (საკდესი). 531 კაცი დაიღუპა ძლიერი ციკლონის დროს, რომელიც ამას წინათ თავს დაატყდა ორისის შტატის კატაკ ბალასორისა და პურის რაიონებს, გვატყობინებს ინდოეთის პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს კალკუტიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობებს. სულ ციკლონის შედეგად დაზარალდა 800 ათასამდე კაცი, აქედან მარტო კატაკის რაიონში 770 ათასი. დაინგრა და დაზიანდა უამრავი სახლები. დაიხოცა დიდძალი პირუტყვი. ეს მონაცემები, ნათქვამია ცნობაში, ჯერ სრული არ არის, ვინაიდან არ მიგვიღია ინფორმაცია შორეული რაიონებიდან.



ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ტყვე ამერიკელი მფრინავი ჯერალდ საიგო ვენანცი, 2300-ე ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავის პილოტი.

ფოტო ვია-საკდესისა.

### სამართლიანი განაჩენი

ბერლინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში დამთავრდა სასამართლო პროცესი ამერიკელი აგენტის გ. კიუტენრაუხისა და დასავლეთ გერმანიის საიდუმლო სამსახურის აგენტის გ. ლატინსკის საქმის გამო. ისინი აქტიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჰ. ტეპლიცმა გამოაცხადა განაჩენი.

გ. კიუტენრაუხს მიესაჯა 15 წლის პატიმრობა, გ. ლატინსკის — სამუდამო პატიმრობა.

### მიწისქვეშა ატომური აფეთქება

ვაშინგტონი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ ნევადის შტატის პოლიგონზე გუშინ განხორციელდა მორიგი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. კომისიის ცნობაში აღნიშნულია, რომ ეს აფეთქება სიმძლავრით აღემატება წინა აფეთქებების უმრავლესობას.

# პენტაგონი ემზადება

ვაშინგტონი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ვაშინგტონის მახლობლად მდებარე „ენდრიუსის“ სამხედრო-საჰაერო ბაზაში გაგზავნეს „ფორტ ბრეგის“ ბაზიდან (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) 82-ე ავიასადესანტო დივიზიის პარაშუტისტთა პირველი ქვედანაყოფები. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, პენტაგონის შენობის დასაცავად ამ შაბათსა და კვირას, როცა ამერიკელი მშვიდობისათვის მებრძოლნი დაიწყებენ ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პიკეტირებას, შეიძლება გამოიყვანონ ამ დივიზიის დაახლოებით ექვსი ათასი ჯარისკაცი. გარდა ამისა, „ფორტ ხუდის“ ბაზიდან (ტეხასის შტატი) თვითმფრინავებით გადმოიყვანეს სამხედრო პოლიციის სამასი ჯარისკაცი.

ხელისუფლები, როგორც ჩანს, მართლაც შეშინებული არიან დედაქალაქში მომავალი ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციით. ჯარისკაცების გარდა, ვაშინგტონში იძახებენ ეროვნული გვარდიის რაზმებს, მეზობელი ოლქების პოლიციისა და სასამართლოს ბოქაულებს, რომელთა საერთო რიცხვი 10 ათასს აღემატება. თავის დაზღვევის მიზნით ამ დღეებში თეთრი სახლი იხურება „რემონტისათვის“.

ვიეტნამის ომის წინააღმდეგ საგაზაფხულო მობილიზებული კამპანია დამთავრდა ნიუ-იორკსა და სან-ფრანცისკოში მოწყობილი გრანდიოზული მიტინგებით. ამჟერად კულმინაციური პუნქტი საპროტესტო კვირეულისა, რომელიც ახლა ამერიკის ბევრ შტატსა და ქალაქში მიმდინარეობს, იქნება ორი მასობრივი მიტინგი და დემონსტრაცია ვაშინგტონში თავდაცვის სამინისტროს შენობასთან. „...გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, — წერს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ვაშინგტონ დეილი ნიუსი“, — რომ მთელი ამერიკა და, რა თქმა უნდა, მთელი მსოფლიო მხარში ამოუდგება ვაშინგტონელ დემონსტრანტებს“. როგორც გაზეთი აღნიშნავს, პროტესტის მონაწილენი გამოხატავენ „მილიონობით ამერიკელის გრძნობას, რომლებსაც სურთ ვიეტნამის ტრაგიკული ომის კეთილგონივრულად დამთავრება“.

ვაშინგტონში უკვე იკრიბებიან „ვიეტნამის ომის დამთავრების ეროვნული სამობილიზაციო კომიტეტის აქტივისტები“, რომელიც ახლანდელი კამპანიის ორგანიზატორია. ისინი პიკეტობენ თეთრ სახლთან, იხილავენ პენტაგონის წინ შაბათის დემონსტრაციის დეტალებს.

მშვიდობისათვის მებრძოლთა წინაშე გამოვლენ ცნობილი ამერიკელი მწერლები, მათ შორის პოეტი რობერტ ლოუელი. კომიტეტი საპროტესტო მიტინგს გამართავს იუსტიციის სამინისტროს შენობასთან.

### სვანეთი დღეს და ხვალ

# ლილეოს მხარეში



ერთმა ინგლისელმა მოგზაურმა, მესტიის აეროპორტზე თვითმფრინავიდან რომ გადმოვიდა, აღტაცებით წამოიძახა: „პირველად ჩამოვედი ისეთ ქვეყანაში, სადაც ბუნებას თავისი თავისთვის უჯობნია“.

მართლაც გასაოცარი და მომხიბვლელია საქართველოს ეს კუთხე. აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით კონტრასტებსა და მოულოდნელობებს. აბა სად ნახავთ, თუ არა სვანეთში, ერთი დღის განმავლობაში გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომასა და ზამთარს, სად ნახავთ მყინვარების გვერდით მარად მწვანე მცენარეებს; ქათქათა თოვლიან მთათა კალთების გვერდით მწვანედ, სურნელოვანი ყვავილებით აბიბინებულ ფერდობებს.

ზუგდიდიდან მესტიამდე მანქანით მოგზაურობა ცოტა არ იყოს ძნელია. შარაგზა ძალიან ვიწროა, ზოგან მანქანები გვერდსაც ვერ უქცევენ ერთმანეთს.

სამწუხაროდ, ეს გზა დღემდე არცთუ უხიფათო და უსაფრთხოა. მაგრამ სულ მალე, როცა ის გაფართოვდება და კეთილმოწყობილი გახდება, ყველა მძღოლი და ყველა მგზავრი უშიშრად და სწრაფად ივლის ამ გზაზე, რომელიც სვანეთის მთავარი მაცოცხლებელი ძარღვია.

გრანდიოზული და უნიკალური ენგურჰესის მშენებლები თავიანთი საქმის გარდა კიდევ ერთ საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ: მთებში, კლდეთა ორწოხებზე გაჰყავთ რვა მეტრი სიგანის სამანქანო გზა.

ენგურელები გზას გაიყვანენ დიზის მარმარილოს კარიერამდე. აქედან მესტიამდე კი გზის გაფართოებას შეუდგება საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოს მესტიის სამშენებლო უბანი; ეს უბანი 1968 წლის იანვრიდან შეიქმნება.

ამ გზით მოდიოდა და მომავალში უფრო მეტად წამოვა ბარისაკენ სვანეთის მთების სიმდიდრე — მარმარილო, რომლითაც დამშვენებულია მოსკოვის, ბერლინის, ვარშავის, თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები და სხვა საუკეთესო ნაგებობანი; ხე-ტყე, ხაიშის ბარიტი (მისი მოპოვება ახლახან დაიწყო; წარმოებას სათავეში უდგას სვანეთის მკვიდრი, ინჟინერი ჯარახმათ ფალიანი).

ამ გზით იმოგზაურებს ყოველწლიურად ათასობით საბჭოთა და უცხოელი ტურისტი, მოთხილამურე და მთამსვლელი.

თუ გინდათ მალე ახვიდეთ სვანეთში, შეგიძლიათ თვითმფრინავით ბუმბერაზ ქედებს გადაევლოთ. ქუთაისიდან სულ რაღაც ორმოცდაათი წუთის საფრენია, ზუგდიდიდან კი ენგურის ხეობის გაყოლებით მესტიაში ოცდაათ წუთში ჩაფრინდებით. მხოლოდ ეცადეთ ქუთაისში ისეთ დროს მოხვდეთ, როცა ქარი და ღრუბელი არ იქნება, ზუგდიდში კი ისეთ დროს, როცა აეროპორტის უფროსს ოთარ აბრამიშვილს ბარგი არ ექნება გასაგზავნი, რადგან ძუძუმწოვარა ბავშვიანი ქალიც რომ იყოს მგზავრი, უფრო ადრე მაინც დაჟანგულ საწოლებს დააწყობს და გაგზავნის. ეს შეფერხება საშიში არ არის, ქარის მოტანილ ღრუბლებს ისევ ქარი წაიღებს და თვითონაც თან გაყვება, აბრამიშვილის ამ ნაკლს კი ალბათ ქუთაისის აეროპორტის უფროსი მიხეილ თვალიაშვილი გამოასწორებს. მფრინავები, სვანეთში გაზრდილი ვაჟკაცები, იმდენჯერ გადასერავენ სვანეთის ღრუბლიან თუ უღრუბლო ცას, რამდენჯერაც საჭირო იქნება მგზავრთა მომსახურებისათვის.

მესტიის აეროპორტზე დაგხვდებათ პატარა ავტობუსი, რომლითაც შეგიძლიათ გაემგზავროთ საითაც გნებავთ; თუმცა თუ უცხო სტუმარი ხართ და სვანეთში მასპინძელი არავინ გყავთ, სასტუმრო „მესტიაში“ უნდა დაბინავდეთ, რომელიც ჯერჯერობით სამოცამდე სტუმარს ემსახურება. მომავალი წლიდან კი დაიწყება ინტურისტის დიდი სასტუმროს მშენებლობა, რომელიც მესტიის ნაგებობათა შორის ყველაზე დიდი, ლამაზი და კეთილმოწყობილი იქნება.

დამთავრდება ახალი ტურბაზის — „უშბის“ მშენებლობა, რომელიც აგრეთვე ორას კაცს მიიღებს თავის ჭერქვეშ.

თუ ამჟამად მესტიის ტურბაზაში დონგუზორუნის, ბეჩოს და ტვიბერის უღელტეხილებით ჩრდილოეთ კავკასიიდან ყოველდღიურად თავს იყრის ორასამდე ტურისტი, „უშბის“ დამთავრების შემდეგ მათი რიცხვი, ცხადია, ბევრად მეტი იქნება.

მესტიის რაიონი, — ამბობს რაიაღმასკომის თავმჯდომარე ა. ჩარკვიანი, — სამთო ტურისტული მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი იქნება ჩვენს რესპუბლიკაში.

გაძლიერდა ახალი სვანეთის მშენებლობის ტემპი. განსაკუთრებით გაიზარდა სკოლების რიცხვი. დიდი ხანი არ არის, რაც საექსპლოატაციოდ გადაეცა მულახის, მესტიის და ხაიშის ტიპური საშუალო სკოლები, აშენდა ნაკრის, ფარის, მაზერის და მურშკელის რვაწლიანი სკოლები.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ძველი სკოლების რეკონსტრუქცია, დამატებით ნაგებობათა მიშენება.

წელს სექტემბრიდან მუშაობას შეუდგა მესტიის სკოლა-ინტერნატი ოთხასი ბავშვისათვის. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საბავშვო ბაღი ასი აღსაზრდელისათვის.

რაიონის ცენტრს ამშვენებს ახალი უნივერმაღი. მალე დაიწყება კულტურის სახლის, ახალი რესტორნის მშენებლობა. განზრახულია აგრეთვე დიდი სპორტული ბაზის მშენებლობა. ამისათვის ნიადაგი უკვე მზადდება. თუ სვანეთში ბაზების უქონლობის პირობებშიც აღიზარდნენ ისეთი სახელოვანი სპორტსმენები, როგორიც არიან ხერგიანები, კახიანები, ჩართოლანები, გვარლიანები, წერედიანები, დადვანები, ჯაფარიძეები და სხვ., როცა ბაზები იქნება, სახელოვან სპორტსმენთა რიცხვი იმატებს — აღიზრდებიან მოთხილამურეები, მოციგურავეები, კლდეზე მცოცავები, მთამსვლელები და სხვ.

ამისათვის რესპუბლიკურმა ხელმძღვანელობამ გადადგა ნაბიჯი, უკვე არსებობს უმაღლესი დაოსტატების ორი სპორტული ჯგუფი. ამ საქმის დიდი ენთუზიასტები არიან რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თხილამურებში საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი სლალომისტი გივი ჯაფარიძე, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, ტრამპლინიდან მხტომელი სპორტის ოსტატი ბუხული მჭედლიანი, სლალომისტები ბუთული მჭედლიანი, ბორის ჩართოლანი, მორბენალი ნოდარ გვარლიანი, ყველა ამათ უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვთ და გამოცდილი პედაგოგები არიან. ამათ გარდა ფიზკულტურული უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები მუშაობენ რაიონის თითქმის ყველა საშუალო თუ რვაწლიან სკოლაში.

ორმოცი წლის წინათ სვანეთში ძნელად იპოვნიდით წერა-კითხვის კარგად მცოდნეს. ახლა ბევრი არ არის ისეთი ოჯახი, სადაც უმაღლესი განათლების მქონე ერთი კაცი მაინც არ იყოს.

მესტიის რაიონში ყველა დაწესებულებას ადგილობრივი კადრები და სპეციალისტები განაგებენ.

რაიონის მშრომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიც არის მეცხოველეობა და მემინდვრეობა. მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო გეგმას ყველა კოლმეურნეობა დროულად და გადაჭარბებით ასრულებს. წელსაც მესტიის რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის პროდუქტების მიყიდვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა.

არის ნაკლოვანებებიც. ცუდად არის დაყენებული რაიონის ელექტროფიცირების საქმე. 1937 წელს ამუშავებული პატარა ჰესი ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

ამჟამად დაწყებულია მაღალი ძაბვის ხაზის დაპროექტება ენგურჰესიდან, ხოლო ვიდრე ენგურჰესი მწყობრში ჩადგებოდეს, მესტიის რაიონის მოსახლეობას საენერგო მოამარაგებს. ამ ხაზის მშენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა ნავარაუდევია 1970 წლისათვის. მანამდე კი რაიონში არსებული ყველა დიზელის და ელექტროსადგურის მაქსიმალური გამოყენებით უნდა მოხდეს მესტიის მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

კიდევ ერთი შენიშვნა. რვა წლის წინათ დაიწყო „უშბის“ აგება. თავდაპირველად ალპინისტური ბანაკისათვის განკუთვნილი მშენებლობა, ადგილის არასწორად შერჩევის გამო, სამი წლის შემდეგ ტურისტულ სამმართველოს გადაეცა. მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა და კედლების ამოყვანაც არ არის დამთავრებული.

რატომ გაჭირდა „უშბის“ აშენება?

ტურისტული სამმართველოს მესვეურები მშენებლებს აბრალებენ, მშენებლობის ხელმძღვანელები კი მასალებისა და მუშახელის ნაკლებობას იმიზეზებენ. მიზეზი არ დაილია, მშენებლობა კი შეუწყნარებლად ჭიანურდება. აქ მუშახელი აკლდათ. მესტიელი გლეხები კი სეზონურ სამუშაოს სხვაგან ეძებდნენ.

მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაც გაკეთდა, ისიც არ არის ხეირიანად შესრულებული. თუ დროზე არ მიიღეს ზომები საცხოვრებელი კორპუსის დანესტიანებული კედლების გადასარჩენად, შეიძლება იგი სერიოზულად დაზიანდეს. ამჟამად მშენებლობას აგრძელებს მესტიის სარემონტო კანტორა (ხელმძღვანელი მ. ქორქოლიანი). გამოცდილ მუშაკს ალბათ ბევრი რამის გამოსწორება მოუხდება. ტურისტული ბაზა „უშბა“ სვანეთის მშვენება იქნება და იგი დროზე და მყვიდრად უნდა აშენდეს.

მესტიის საშუალო სკოლა ხუთი წლის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. შენობა იმდენად უხარისხოდ არის გაკეთებული, რომ სპორტული დარბაზის იატაკი უკვე ჩაინგრა, დანგრევის პირზეა მისული სკოლის აივნებიც. დასამთავრებელია ლატალის საშუალო სკოლა, რომლის კედლები ჯერ კიდევ 1961 წელს ამოიყვანეს, ხოლო გადახურვას ხუთ წელზე მეტხანს მოუნდნენ.

მესტიის რაიონის ხელმძღვანელობას, ლატალის საზოგადოებას, ლატალელ მოსწავლეებს ერთი დიდი სათხოვარი აქვთ განათლების სამინისტროსთან: განაახლოს სკოლის მშენებლობა.

ორმოცი წლის წინათ მესტიაში ორიოდე ექიმი თუ იქნებოდა, საავადმყოფო კი სულაც არ ყოფილა. დღეს მესტიის ორმოცდაათადგილიანი საავადმყოფოს კოლექტივი თითქმის მთლიანად ადგილობრივი კადრებით არის დაკომპლექტებული. საავადმყოფოს კოლექტივს სურვილია, რომ მათი საავადმყოფო უფრო კეთილმოწყობილი იყოს. ამისათვის უწინარეს ყოვლისა მეტი დახმარება და ყურადღებაა საჭირო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროსგან.

რაიონის ხელმძღვანელების ხელშეწყობით და დახმარებით მესტიის საავადმყოფომ კარგი საქმე წამოიწყო. სამკურნალოდ გამოიყენა ოდითგან ცნობილი „კვედილაშის“ მინერალური წყალი, ააშენა პატარა ხის სახლი, სადაც აბაზანების შემდეგ ავადმყოფებს შეუძლიათ დაისვენონ. საიდან არ ჩამოდიან ამ „უკვდავების წყაროზე“ სამკურნალოდ. პატარა სახლი და პრიმიტიული საბაზანო დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ვინ არ იცის, რომ საქართველო კურორტების რესპუბლიკაა, აქაური ჰავა და თვალწარმტაცი ბუნება საუკეთესო პირობაა კურორტებისათვის. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი სვანეთიც არის. იქნებ დაინტერესდნენ ამით და მომავალში ჩვენი რესპუბლიკის კეთილმოწყობილი კურორტების გვერდით მშრომელთა დასვენების კერად გადააქციონ „კვედილაშის“ უშრეტი წყარო.

**პ. გვარლიანი,**
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ტურისტული ბაზა „უშბის“ რადიოკვანძისათვის აგებული სვანური კოშკი; ქვემოთ — ტურისტული ბაზა „უშბის“ მშენებლობის ხედი.

ფოტო ავტორისა.



# ჩვენს ქალაქ-ქალაქში

## სტუმრად სომხეთელ მეგობრებთან

რუსთავი. (საკ. კორ.). [illegible]

**სამიმილიო წლის პირველი**

[illegible]

## ხილი—მოსკოველ, ლენინგრადელ მშრომელებს

სიღნაღი. (საკ. კორ.). [illegible] და ლენინგრადელ მშრომელებს.

ხილის გარკვეული რაოდენობა გადაამუშავა საჩხერის საკონსერვო ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა.

სხვიტორის, ორღულის, ლიჩის, იტავაზის, სავანის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მაღალხარისხოვანი ხილი მიჰყიდეს.

ჩვეთისთვისაც „კომუნისტის" და საქდესის კორესპონდენტები

# გვთავაზობს იუგოსლავია

[illegible] იუგოსლავიის სავაჭრო პალატის უცხოეთის გამოფენათა განყოფილების უფროსმა ლ. რუხაძემ.

იუგოსლავ სტუმრებს გულთბილად მიესალმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ა. მშვიდობაძე. შევრებილთ მიმართა სსრ კავშირში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოსთან არსებული კომერციულ-ტექნიკური ბიუროს დირექტორმა ი. ბლაჟუშამ:

— ჩვენი გამოფენა იმ მზარდი ურთიერთობისა და შემოქმედებითი კავშირის კიდევ ერთი გამოვლინებაა, რაც [illegible] მეტი წილი პრაქტიკულად დიდად საინტერესოა რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებისათვის.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლ. ა. საყვარელიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე. (საქდესი).

## ბედნიერი ბილეთი

ყვარელი. (საკ. კორ.). ამას წინათ ყვარლის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ზურაბ ღვედაშვილმა წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის მეოთხე გამოშვების 48884 სერიის № 459 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი".

## ქარხანა ზვარეში

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). შორს გაითქვა სახელი მინერალურმა წყალმა „ზვარემ". გეოლოგებმა აღმოაჩინეს ახალი წყაროები, რომლებიც მძლავრად მოჩუხჩუხებენ სოფელ ზვარეს მთების წიაღიდან...

საიუბილეო წელს აქ აშენდა მინერალური წყლის ჩამომსხმელი მძლავრი ავტომატიზებული ქარხანა. იგი ყოველწლიურად სამნახევარ მილიონ ბოთლ „ზვარეს" ჩამოასხამს.

# აციმციმდა ცისფერი ეკრანი

წინასაიუბილეო დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს დმანისის რაიონის მშრომელებმა. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოსა და ტელევიზიის სამმართველომ დაბა დმანისის სამხრეთით, დიდკოვოლას მთაზე. დაამონტაჟა ტელერეტრანსლაციო აპარატურა. გადმოცემებს თბილისიდან და მოსკოვიდან უკვე უყურებს დაბა დმანისის, სოფლების განთიადის, ჯავახის, ზემო და ქვემო ოროზმანის, ამამლოსა და სხვა სოფლების მშრომელებმა.

ალ. ტატუაშვილი.

# დიდი წარმატებით

როგორც ვენეციიდან შეგვატყობინა იმპრესარიო მარიო პორჩილემ, იტალიაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები. ანსამბლის ხელმძღვანელები არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი. ანსამბლმა კონცერტები გამართა ნეაპოლში, გენუასა და ტრიესტში. პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ქართველ მოცეკვავეთა ოსტატობას. 29 ოქტომბრიდან ანსამბლი ერთ კვირას გამართავს კონცერტებს მილანის „ლა სკალას" თეატრში. (საქდესი).

**ცნობისმოყვარეთათვის**

## ყველაზე შეუმჩნეველი დღე

95 წლის წინათ 1872 წლის 10 ოქტომბერს, სუსტძალიანი ორთქლმავლის „ფერფლის" საყვირმა სამყაროს ამცნო ამიერკავკასიის რკინიგზის დაბადება. პირველად ფოთიდან თბილისში ჩამოვიდა სამგზავრო მატარებელი.

რაოდენ დიდი იყო განცვიფრება ასიოდე მამაცი მოგზაურისა, ნებაყოფლობით რომ მიანდეს თავიანთი ბედი პატარა მატარებელს, რომელმაც დღე-ღამის სამ მეოთხედში გაიარა 300 კილომეტრზე მეტი მანძილი და საზეიმო ორკესტრის ნაცვლად მათ თბილისის სადგურში დახვდათ მხოლოდ... ბიჭუნების გუნდის აღტაცებული შეძახილები.

საქმე ის არის, რომ გზა გაჰყავდათ შვიდ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მის ირგვლივ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო და ძალიან ცოტა თბილისელს სჯეროდა ამ წამოწყების რეალურობა.

ვ. ბაბუაძე,

## ძველი „ფორდის" კვალდაკვალ

ოთხმა სვერდლოვსკელმა — ნებაყოფლობითი საზოგადოება „ავტოდორის" წევრებმა—შეაკეთა „ფორდ-ტ" მარკის ჩამოწერილი ავტობუსი და 1929 წლის ზაფხულში მოაწყო 1200 — კილომეტრიანი ავტოგარბენა ურალის მიწა-წყალზე. ამ დღეებში კი, 38 წლის შემდეგ, ენთუზიასტთა ავტოგარბენა გაიმეორეს შუა ურალის ავტოტრანსპორტის სამმართველოს მუშაკებმა და სვერდლოვსკის „ვეჩორკის" ჟურნალისტებმა. რიგის კომფორტული მიკროავტობუსით მათ გაიარეს ურალის სამი ოლქის გზები.

საინტერესოა, რომ პირველი ავტოგარბენა ერთ თვეს გრძელდებოდა, ახლა კი იგივე გზა ექვს დღეში გაიარეს. (საქდესი).


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი ზუგდიდი. რუსთაველის ქუჩა.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# თეატრის დაბადება

## მესხეთის სახელმწიფო თეატრის გახსნის გამო

სიამაყის გრძნობით ალავსებს ყველა ჩვენგანის გულს ყოველი ახალი სასარგებლო, საშვილიშვილო წამოწყება. უდავოდ ასეთი საქმეა მესხეთის სახელმწიფო თეატრის გახსნა ახალციხეში. იგი ამ მხარის მშრომელთათვის ღირსსახსოვარი საჩუქარია ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე.

სასიქადულოა იყო ეროვნული ხელოვნების შექმნისა და ზრდის უშუალო მონაწილე და ინიციატორი. ეს მაღალი შეგნება მიუძღოდა წინ თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს, როდესაც ისინი მიეშურებოდნენ მესხეთის მიწაზე ქართული თეატრის აღსადგენად.

თეატრის კარი გაიხსნა. თავიდანვე, დაიწყო თუ არა სპექტაკლი, „დარბაზი გაანათა" იმ აზრმა, რომ თეატრი არის ხელოვნების ტაძარი, რომ ამ ტაძარში ჩვენ უნდა შევდიოდეთ არა თავშესაქცევად და გასართობად, არამედ აზრის, იდეის, ჩვენი სიხარულისა თუ სათქმელ-სატკივარის გასაცნობად, გასაზიარებლად.

თეატრისთვის ბედნიერ აღმოჩენას ჰგავდა მწერალ ოთარ ჩხეიძის პიესა „თედორე". ნაწარმოები შესანიშნავ მასალას აწვდის თეატრს, თეატრიც იყენებს მას და მოქმედების ადგილის აღმნიშვნელად (მოქმედება ი ტაძარში ხდება) მხოლოდ სცენას [illegible]ოდი კმარობს, ერთადერთ იარუსს [illegible] ლესიის სამგალობლოდ აქცევს და [illegible] შესანიშნავად ხმაშეწყობილ გუნდს (ლოტბარი შ. ალთუნაშვილი) მიანდობს ძველი ხალხური და საეკლესიო სიმღერების შესრულებას, კანდელებს ანთებს და ო. თაქთაქიშვილის ძლიერი მუსიკის ხმებით ავსებს დარბაზს.

ყოველივე ეს გვაგონებდა მრავლისმთქმელ ეპიგრაფს, რომელიც სპექტაკლს წარუმძღვარა რეჟისორმა ნანა დემეტრაშვილმა თეატრის გახსნის საზეიმო დღესასწაულზე.

შემდეგ დაიწყო მისტერიული ქმედების ხატოვნებით შთაგონებული სანახაობა.

სცენაზე იჭრება აწ გარდასულ ჟამთა სიავის მაუწყებელი ქართველი ხალხის გოდება-ზარი. ეს ხმა სწვდება ეკლესიის გუმბათებს და მეხივით სკდება. ბერნი (ეს ანტიკური ქოროს მსგავსი ჯგუფია) ამაოდ დაბორიალობენ საყდარში და ამაოდ აღავლენენ ვედრებას ზეცად. ქვეყნის ხსნა არსით არის: თათარ-ხანებმა უწყალოდ აიკლეს და ააოხრეს ქვეყანა, სულით ხორცამდის განძარცვეს ხალხი. მაგრამ ვინ არის იგი, ვინც განამტკიცებს ხალხის ძალას, უწინამძღვრებს ერს, სად დაიკარგა, რატომ არა ჩანს, ნუთუ ქვეყანამ ვერ უნდა შვას მხსნელი გმირი?...

ერისკაცობა პიესის უმთავრესი თემა და ლეიტმოტივია; ამაში ჩანს კიდეც სპექტაკლის ძალა და ეროვნული ჰუმანიზმის იდეა. მასში ზოგადი შინაარსია ჩაქსოვილი. მოვალეობის სამსახური სულ სხვაა, როცა ერისკაცობის მძიმე მანტიას წამოისხამს ადამიანი. პირადი ცხოვრების, პირადი ბედნიერების ყოველი მხარე იმსხვრევა მასთან შეპირისპირებაში.

ერისკაცია თედორე, მისი უპირველესი რელიგია სამშობლოა, ამ „ღმერთს" ემსახურება იგი, მას ეწირება მთელი მისი ცხოვრება, სიცოცხლე მოხუცი მშობლების, ცოლ-შვილის და ბოლოს თავადაც ქვეყნის სამსხვერპლოზე მიაქვს თავი ზვარაკად. სამაგიეროდ მან გამოიხსნა სამშობლო, თავისი „დიდი ღმერთი", შთამომავალობას დაუტოვა სახელი — მარადიული, უძლეველი, შეულახველი.

ამ დადგმას, ისე როგორც პიესას, ანტიკურ ტრაგედიებთან მხოლოდ გარეგნული, ფორმალური მხარეები აკავშირებს. ძველი ბერძნული კლასიკური დრამის ელემენტების (ქორო, მაცნე) გამოყენება ნირს არ უცვლის სპექტაკლის ერთ მთლიან ეროვნულ სტილს, მოცემული დროისა და ეპოქის ატმოსფეროს. პირიქით, იგი საშუალებას აძლევს რეჟისორს მონუმენტური სახე მიანიჭოს სპექტაკლს და ეროვნულ, მისტერიულ ქმედობად აქციოს იგი.

წარმოდგენის მხატვრული სახე კლასიკური რეალიზმის პრინციპს ემყარება. რეჟისორი მასობრივ სცენებში აღწევს იმას, რომ მოუნახოს შიშსა და სიხარულს, სიძულვილსა თუ სიყვარულს, პირმოთნეობას, მლიქვნელობას, პატრიოტიზმს ან თავგანწირვის სიამაყეს სახიერი, შთამბეჭდავი ფორმები. თეატრის ენაზე თარგმნოს ეს ცნებები. ამ მიზნით იგი თამამად მიმართავს სინთეზური ხელოვნების მდიდარ საშუალებებს და სასურველ შედეგსაც აღწევს.

სპექტაკლში გიპყრობთ პატრიოტიზმის სული, მამულისათვის თავგანწირვის იდეა. მაგრამ ეს როდია მხოლოდ შიშველ ემოციებზე, სამშობლოს სიყვარულის ინსტინქტურ იმპულსებზე აგებული სანახაობა; როგორც პიესაში, ისე სპექტაკლში დიდი სივრცე აქვს დათმობილი ჭეშმარიტების ძიებას, აზრთა ჭიდილს, ინტელექტუალურ განსჯას.

მსახიობთა სცენური ცხოვრების ორი მხარე — ინტელექტუალური და ემოციური ტოლფარდოვანია და განსასახიერებელ როლებში პოულობს სრულ გამართლებას.

ასეთია პირველყოვლისა თედორეს როლი, შემდეგ მანგლელის, მაცნეს სახე, და ბოლოს ნენო. მათს შემსრულებლებს ბოლომდე აქვთ შეგრძნობილი როლების აზრობრივი და ემოციური დატვირთვის ძალა.

თედორეს ვნებათა დაოკება (განსახიერების ამ პრინციპს ირჩევს მსახიობი თ. გამყრელიძე) შინაგან დინამიკას ისახავს მიზნად. მსახიობი უფრო მიგვანიშნებს, ვიდრე ავლინებს და გვიჩვენებს. აქ იგი უპირატესობას აძლევს მაყურებელთა ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს. ამგვარ გააზრებას რაინდული, ჟაჟკაცური ელემენტი შეაქვს თედორეს ხასიათში და ყოველ გზას უჭრის მგრძნობიარე, დაშაქრული სენტიმენტალიზმის რეციდივებს. მსახიობის პარტნიორი ქალი საპირისპირო გზას ადგას. მის შესრულებაში გრძნობა ილვრება ჭარბად, მაგრამ ძალდაუტანებლად. ცენტრალური როლების ასე განსახიერება ურთიერთ გამაძლიერებელი კონტრასტულობის პრინციპს ემყარება. საზოგადოდ კი სცენური განცდის სილამაზესა და მომხიბვლელობაზე თუ ჩამოვარდა სიტყვა, აქ პირველ რიგში ნენოს როლის შემსრულებელი გ. პატარიძე უნდა დავასახელოთ.

უარყოფით, ტრაფარეტულ გმირთა „შავსიელებში" მანგლელს ვერ მოვაქცევთ. მოხუცი ეპისკოპოსის გამხდარ მკერდში მაინც ქართველი პატრიოტი კაცის გული სცემს. მაგრამ რათ გინდა, ასჯერ ზომავს, და ხოლო პრაქტიკულად ერთი ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს, სამშობლოს თავისუფლებას შენატრის, მაგრამ მსხვერპლს უფრთხის. მის შემხედვარეს სხვასაც მონის ფსიქიკა გასჩენია, დახსნის იმედი წართმევია. ასეთ ფიქრებს აღძრავს მანგლელის როლი მსახიობ პ. ქადაგიშვილის მეტად საინტერესო განსახიერებით. ეს როლი შორს დგას თეატრში ეპისკოპო[illegible] როლი, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესია მოქმედ პირთა შორის. იგი იწყებს სპექტაკლს და ამთავრებს კიდეც, იწყებს და ამთავრებს თვითეული სცენური მოქმედების რიტმს, განწყობილებას, აუწყებს ხალხს, მოქმედ პირებს, სცენის მიღმა დატრიალებულ ტრაგიკულ ამბებს.

მსახიობი ზ. ილურიძე მოცემულ სცენურ მდგომარეობაში, — ასეთ მეთოდს მიმართავს თეატრი მაცნეს როლის სცენური ინტერპრეტაციისას. როლის ასეთი გააზრებით რეჟისორი და მსახიობი გარკვეულ ხარკს უხდიან თანამედროვე თეატრში შემჩნეულ ინტელექტუალურ მიმდინარეობას. აქ არაფერია საძრახისი და არც რამ ახალი. მხოლოდ არ უნდა აგვიყოლიოს მოდურმა ცდუნებამ, აქედანვე უნდა გვახსოვდეს, რა შეიძლება იყოს მახლობელი და ორგანული ქართული თეატრისათვის და არა — კიდევ უცხო და მიუღებელი;

რა თქმა უნდა, ძნელია საერთო მასიდან (ქორო იქნება თუ სხვა რამ, სულ ერთია) მსახიობმა გამოძერწოს (სწორედ გამოძერწოს) და შექმნას განსხვავებული სახე, მაგრამ ვინ თქვა, რომ მსახიობის პროფესია ადვილია. ასეთი სიძნელეების გადალახვისას ჩანს სწორედ მსახიობის მაძიებელი ნიჭი, ფანტაზია. თუ ამას იჩენს ზოგიერთი მსახიობი (ზოგიერთი კი არა, ერთადერთი ნ. მწარიაშვილი), რატომ ვერ ამჟღავნებენ სხვები? მსახიობი გარკვეული აზრით თანაავტორია მწერლისა. მან ინდივიდუალური ნიშნებით უნდა აღჭურვოს სქემა, ნემსის ყუნწში გაძვრეს და გააცოცხლოს უსიცოცხლო ეპიზოდიც კი.

ახალგაზრდობას თეატრში დახვდნენ ძველი თაობის შესანიშნავი მსახიობები — მ. თუშიშვილი და ნ. ზამბახიძე. ისინი სპექტაკლში თედორეს მშობლებს განასახიერებენ. არის რაღაც სიმბოლური როლების ამგვარ განაწილებაში. ახალგაზრდა კოლექტივს უფროსი თაობის ბევრი სანაქებო ადამიანი უდგას მხარში და მამაშვილურ ზრუნვას არ აკლებს.

თედორეს, ნენოს, ხორეშანის როლებს ახალციხის თეატრში თავისი მეორე შემსრულებლებიცა ჰყავს. მსახიობები ს. ბაკურაძე, ლ. სულუაშვილი, თ. ჩერქეზიშვილი ტოლს არ უდებენ თავიანთ კოლეგებს და თანშეწყობილ აქტიორულ ანსამბლს ქმნიან.

სპექტაკლის მხატვრობა სამხატვრო აკადემიის ახლად კურსდამთავრებულს თამაზ ხუციშვილს ეკუთვნის. ეს მისი პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარია. მისი კონსტრუქცია თანამედროვე დეკორატიული მხატვრობის ბევრ საუკეთესო მიღწევას ითვალისწინებს და კარგი გემოვნების მაუწყებელი სისადავით ხასიათდება. დანადგარი უაღრესად მომგებიანია აქტიორული განსახიერებისათვის, მაგრამ ამ სიტყვებს ვერ გავიმეორებთ კოსტიუმებზე. აქ მხატვარს ღალატობს სისადავე და ეროვნული კოლორიტის შეგრძნების ის უნარი, რაც ესოდენ აუცილებელია ამ ხასიათის ნაწარმოებისათვის.

„თედორე" თეატრის მხატვრული ცხოვრების კარგი დასაწყისია. ახალგაზრდა კოლექტივის ეს პირველი ნამუშევარი ბევრის მთქმელი და მაი[illegible]

ალ. შალუტაშვილი.

* * *



სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „თედორე".

## მხატვრის მხიარული კომენტარები



...და ვენერამ ჩვეული პოზა მიიღო.

ნახატები გ. იაშვილისა.

კომუნისტის სპორტი

# პირველი სიურპრიზები

ტუნისი, 20 ოქტომბერი. (საქდესი). სულ ცოტა სამი სიურპრიზით მაინც აღინიშნა საზონათაშორისო ტურნირის მეოთხე დღე ქალაქ სუსში. აქ რომ უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს, პირველმა სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. შტეინმა დაადასტურა: ოცდამეცხრამეტე სვლაზე მან დაამარცხა თავისი თანამემამულე ა. გიპსლისი. პირველი „განბედვით" წარმოთქვა შეჯიბრების ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმაც — დანიელმა გროსმაისტერმა ბ. ლარსენმა. მისმა მოწინააღმდეგემ უნგრელმა ლ. პორტიშმა კვლავ დაამტკიცა, რომ იგი ყველასათვის საშიში მეტოქეა, როცა თეთრებით თამაშობს. მოულოდნელად წააგო გამოცდილმა იუგოსლავმა მოჭადრაკემ მ. მატულოვიჩმა ასეთი რანგის ტურნირის დებიუტანტთან კანადელ დ. სალტსთან.

ყაიმით დამთავრდა ვ. კორჩნოიე. გელერის, ო. ხარაუზ (ახალი ზელანდია)-რ. ბირნის (ამერიკის შეერთებული შტატები), ა. მატანოვიჩ-ს. გლიგორიჩის (ორივე იუგოსლავია) შეხვედრები.

სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა, ხოლო ორი — რ. ფიშერ-მ. კუელარის (კოლუმბია) და ს. რეშევსკი-ლ. კოვალეკის (ჩეხოსლოვაკია) პარტიები 23 ოქტომბრისათვის გადაიდო ამერიკელთა თხოვნით. მიზეზი? კვლავ რელიგიური ადათი — ხუთშაბათი თავისუფალი უნდა იყოს „ამქვეყნიური საქმეებისაგან". თუმცა, ფიშერი, რომელმაც ამ დღის უარი თქვა ჭადრაკზე, დომინოს თამაშობდა. პარტია ის-ის იყო უნდა დამთავრებულიყო, როცა ამერიკელს კვლავ მოაგონდა ადათი და შეწყვიტა „ბრძოლა".

◆

## ახმეტელი ფალავანი

ახმეტა. აქ სამ დღის გრძელდებოდა საქართველოს უძლიერეს მოჭიდავეთა რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. წარმატება ახმეტელ ბ. ბალაკაშვილს ხვდა. ქართველი ფალავნების ფარნაოზ ჩიკვილაძისა და ნოდარ ყაჰმაზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ამ შეჯიბრებაში მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ კასპელი მ. მალაციძე და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი ვ. გასიევი.

ჯ. რჩეულიშვილი,

საკ. კორ.

## ფინალი სოჭში

19 ოქტომბერს სოჭში დაიწყო „იმედის თასის" გათამაშების ფინალური ასპარეზობა ფეხბურთში ექვსი უძლიერესი კოლექტივის მონაწილეობით.

პირველ დღეს გაიმართა ორი მატჩი. რსფსრ-ისა და ყაზახეთის გუნდების შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა. გაიმარჯვა რსფსრ-ის გუნდმა. ლიტვისა და საქართველოს გუნდების შეხვედრაში წარმატება ლიტველებს ხვდათ ანგარიშით 2:1.

## მეტოქენი ცნობილი არიან

მადრიდი, 20 ოქტომბერი. (საქდესი). ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედ ფინალში კიევის „დინამოს" ფეხბურთელები შეხვდებიან პოლონეთის ქალაქ ზაბჟეს „გურნიკის" კლუბს, ხოლო მოსკოვის ტორპედოელები თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე ეტაპზე შეებრძოლებიან ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტრნავის „სპარტაკის" გუნდს.

ასე განსაზღვრა ეს შეჯიბრებანი წილისყრამ, რომელიც აქ მოაწყო დღეს ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა.

## თასის მფლობელთა თასზე

გაიმართა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების უკანასკნელი ორი მეთექვსმეტედფინალური მატჩი ფეხბურთში. ბელგიის „სტანდარდი" ლიეჟში შეხვდა თურქეთის საკლუბო გუნდს — „ალტაი-გენჩილიკს" და შეხვედრა ფრედ (0:0) დაამთავრა. მაგრამ „სტანდარდს" პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა 3:2 და თასის გათამაშების შემდგომ ეტაპშიც იგი გავიდა. თასის მფლობელი მიუნხენის „ბავარია" ათენში თამაშობდა „პანატინაიკოსთან" და კვლავ გაიმარჯვა 2:1 (პირველი შეხვედრა მოიგო 5:0).

ამრიგად, თასის მფლობელთა თასის გათამაშების თექვსმეტივე მერვედფინალისტი ცნობილია. ესენი არიან: „სეტუბალი" (პორტუგალია), „აბერდინი" (შოტლანდია), „სტანდარდი" (ბელგია), „დიოში" (უნგრეთი), „ვალენსია" (ესპანეთი), „კარდიფ სიტი" (უელსი), „ვისლა" (პოლონეთი), „მილანი", (იტალია), „ბრედა" (ჰოლანდია), „სტიაუა" (რუმინეთი), „ტოტენჰემი" (ინგლისი), „ბავარია" (გფრ), „ლიონი" (საფრანგეთი), „ჰამბურგი" (გფრ), „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია), „ტორპედო" (სსრ კავშირი).

## უმაღლესი ლიგის საგზურისათვის

„ა" კლასის მეორე ჯგუფის ოცდაცხრამეტმა გუნდმა სამივე ქვეჯგუფში დაამთავრა საკავშირო ტურნირის მატჩები ფეხბურთში. გამოვლინდნენ უძლიერესნი, რომელთა დასკვნითმა შეხვედრებმა უნდა გამოავლინოს გამარჯვებული, რომელიც მომავალ წელს გამოვა უმაღლეს ლიგაში.

პირველ ქვეჯგუფში ტყიბულის „მეშახტისა" და კიროვაბადის „დინამოს" მატჩში წარმატება დინამოელებს ხვდათ 3:1. უკანასკნელ ტურში გაიმარჯვა აგრეთვე რიგის „დაუგავამ" სტავროპოლის დინამოელებთან შეხვედრაში 2:1.

ამრიგად, კიროვაბადის „დინამომ" და რიგის „დაუგავამ" თანაბარი ქულები შეაგროვეს. მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით პირველი ქვეჯგუფიდან დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა კიროვაბადის „დინამომ".

თბილისის ლოკომოტიველებმა დონის როსტოვში „როსტსელმაშთან" მატჩი ფრედ (0:0) დაამთავრეს, ბათუმის „დინამომ" მოუგო ლენინაკანის „შირაკს" 4:3.

მეორე ქვეჯგუფიდან გადამწყვეტ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა, რომელმაც უკანასკნელი მატჩი ვორონეჟში ადგილობრივ „ტრუდთან" ფრედ (1:1) დაამთავრა. მესამე ქვეჯგუფიდან ფინალურ ასპარეზობაში გამოვა ყარაგანდის „შახტიორი", რომელმაც უკანასკნელი მატჩი აშხაბადის „სტროიტელთან" 0:0 დაამთავრა.

## მასობრივი ტურნირის ფინიში

გუშინ თბილისში დამთავრდა რესპუბლიკური მასობრივი ტურნირი ჭადრაკში.

ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა ჯ. ბერაძემ, რომელმაც 8-დან 7 ქულა შეაგროვა. გარდა ჯ. ბერაძისა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ე. უბილავა, ა. იზვოზჩიკოვი და ა. წერეთელი.

## მეხიკოს სპორტული დღეები

მეხიკოს ასპარეზობები, კვლავ ყურადღების ცენტრში დგას.

სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ტანვარჯიშში ქალთა შორის ნ. კუჩინსკაიამ ცალკეულ იარაღებზე ასპარეზობაში სამი პირველი და ერთი მესამე ადგილი დაიკავა. არასახარბიელო გამოდგა ჩვენი ტანმოვარჯიშე ვაჟების შედეგები. წარმატება ხვდა იაპონელ აკინორი ნაკაიამას. ექვსიდან მან ოთხ იარაღზე პირველობა არავის დაუთმო.

შესანიშნავი ფინიში ჰქონდა თანამედროვე ხუთჭიდში საბჭოთა სპორტსმენს სტასის შაპარნისს. იგი ოქროს მედლის მფლობელი გახდა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ხუთჭიდელებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

მძლეოსნები განაგრძობენ ასპარეზობას. მოსკოველმა იგორ ტერ-ოვანესიანმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა შედეგი — 8 მეტრი და 35 სანტიმეტრი. ეს მსოფლიო რეკორდის განმეორებაა.


„დინამოს" სტადიონი

ტელ. 5-21-62

აკ. წერეთლის პროსპ. № 2

23 და 24 ოქტომბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის

„პახტაკორი" ტაშკენტი — „დინამო" თბილისი

23 ოქტომბერს სათადარიგო შემადგენლობანი.

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

24 ოქტომბერს ძირითადი შემადგენლობანი.

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

24 ოქტომბრისათვის ბილეთები აბონემენტებზე წინასწარ გაიყიდება „დინამოს" სტადიონის სალაროებში 22 და 23 ოქტომბერს 11-დან 18 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 24 ოქტომბერს 10 საათიდან.


## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

**21 ოქტომბერი**

09.30 — ლექცია „ქსელოვანი დაგეგმვა და მართვა მშენებლობაში", 11.00 — მხატვრული ფილმი „ოცდამეთექვსმეტე არ ესროლოთ", 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — „თქვენთვის, პატარებო!" — „ცეროდენას ეკრანი", 17.20 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 17.45 — კინონარკვევი, 17.55 — გადაცემა — „საბჭოთა პლაკატი 50 წლის მანძილზე", 18.30 — გადაცემა „ლენინის ორდენოსანი ოსეთი", 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — „ექსპო-67" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „ცისფერი ეკრანის ფოსტა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — კინონარკვევი, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.05 — სატელევიზიო დადგმა „სასამართლო ქრონიკა" (საქართველოს ტელევიზიის დადგმა. გამეორება), 23.25 — გადაცემათა პროგრამა 22 ოქტომბრისათვის, 23.30 — 1967 წლის პოპულარული სიმღერები (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან).

რედაქტორის მოადგილე

ბ. თათარიშვილი.


„კომუნისტი" [illegible] სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — [illegible]-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატუ[illegible] 24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03407 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.